

თამარ მჭედლიშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის,
ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის დოქტორანტი

„მეათე სართულის“ მხატვრები

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში გამოჩნდა მხატვართა ჯგუფი, რომელიც დღეს „მეათე სართულის“ სახელით არის ცნობილი. ახალგაზრდა მხატვრები: ნიკო ცეცხლაძე, მიაა ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, მამუკა ჯაფარიძე, კარლო კაჭარავა, გია დოლიძე, თემურ იაკობაშვილი, ზურაბ სუმბაძე, გია ლორია და გიორგი მალლაკელიძე 1986 წლიდან სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე, დიპლომანტ მამუკა ცეცხლაძისათვის გამოყოფილ პატარა სახელოსნოში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯგუფის წევრების გარდა, სახელოსნოს ხშირად სტუმრობდა უამრავი ხელოვანი და იმართებოდა საინტერესო დისკუსიები. ყოველდღიური საუბრები ევროპულ თანამედროვე ხელოვნებაზე მალე პრაქტიკულ საქმიანობაშიც გადაიზარდა. ჯგუფის წევრებმა, მამუკა ცეცხლაძესთან ერთად, ახალი იდეების ტილოზე გადატანა დაიწყეს. ჯგუფში პროცესები სამხატვრო აკადემიაში დამკვიდრებული მეთოდებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. ეს იყო შემოქმედებითი სივრცე, სადაც უამრავ ტილოსა და მოლბერტის გვერდით ზეთის საღებავებისა თუ სხვა ტრადიციული სამხატვრო საშუალებების პარალელურად, მუყაოზე სამეურნეო საღებავებით შესრულებულ სხვადასხვა ფიგურატიულ და აბსტრაქტულ კომპოზიციებს ქმნიდნენ. თითოეული მათგანის შემოქმედებაში მეტნაკლებად იგრძნობა XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდის მიმდინარეობების გავლენა, როგორც გაერთიანება „ხიდის“, ასევე ნეოექსპრესიონიზმისა და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის. 1905 წელს გაერთიანება „ხიდის“ წევრების მიერ შემუშავებული მხატვრული სტილის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ ფიგურების დეფორმირება,

განზრახ გაჭუჭყიანებული ფერთა პალიტრა, ფერთა სიმკვეთრე, შავი სქელი კონტური და ექსპრესიული ფუნჯის მონასმები 80-იანი წლების დასაწყისიდან ევროპაში მრავალი მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა. შინაგანი პროტესტის გამოსახატად მსგავსი შესრულების მანერა ახლობელი აღმოჩნდა, როგორც ნეოექსპრესიონისტებისათვის, ისე აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელთათვის. სწორედ ნეოექსპრესიონისტული ფიგურატიულობით ხასიათდება „მეათე სართულის“ მხატვრების მიერ წარმოდგენილი წარმოსახვითი და სოციალური პრობლემებით გაჯერებული რეალური სამყარო.

„მეათე სართულის“ სახელოსნოდან ერთ-ერთი წამყვანი მხატვარი, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, კარლო კაჭარავა იყო. მისი შესრულების მანერა „ხიდის“ წვერთა სტილს მოგვაგონებს. კომპოზიციებში ჭარბობს როგორც განზრახ გაჭუჭყიანებული, ასევე მკვეთრი ფერები, დეფორმირებული ფიგურები მხატვარს ხშირად შავი სქელი კონტურებით აქვს შემოსაზღვრული. ფუნჯის მონასმი, ზოგიერთ შემთხვევაში, ქოსური და ემოციურია, რაც ხშირად ახასიათებთ გერმანელი ექსპრესიონისტების ნამუშევრებს. კარლო კაჭარავა ძირითადად სოციალურ და პოლიტიკურ თემაზე მუშაობდა, თუმცა ამის პარალელურად, იგი გაერთიანება „ხიდის“ წევრების საყვარელ თემატიკასაც ირჩევდა სახატავად. მაგალითად, 1987 წელს იგი აკვარელის ტექნიკით ხატავს უსათაურო კომპოზიციას, (61) სადაც სამი ნიუ პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. კომპოზიცია გერმანელი ექსპრესიონისტი მხატვრის მაქს პესშტაინის იმავე თემაზე შესრულებულ რამოდენიმე ჩანახატს მოგვაგონებს, რომელიც მან 1911-12 წლებისათვის მორიცხურგის ტბებზე ყოფნის დროს შეასრულა. საინტერესოა ასევე 1987 წლით დათარიღებული კარლო კაჭარავას კიდევ ერთი კომპოზიცია (62) „leben, leben, leben“, სადაც მხატვარი ჩაკეტილი სივრცის ფონზე საკუთარ ავტობიოგრაფიულ და შიშველი ქალის ფიგურას ხატავს. ფაქტია, რომ ნამუშევრის თემატიკა და სიუჟეტი კვლავ ექსპრესიონისტი მხატვრების შემოქმედებასთან

გვაბრუნებს. გაერთიანება ხიდის მხატვრები ავტობიოგრაფიულ სწორად საპირისპირო სქესის შიშველი ფიგურის გვერდით გამოსახავენ. სამაგალითოდ საკმარისია მოვიყვანოთ 1911 წლისათვის ერნსტ ლუდვიგ კირხნერის მიერ შესრულებული „ავტობიოგრაფი, როგორც ჯარისკაცი“, სადაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მხატვარი შიშველ ფიგურასთან ზურგშექცევით დგას და გამოსახვის სხვადასხვა ხერხებით მის ომის შემდგომ სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობას გადმოგვცემს. როგორც ჩანს კარლო კაჭარავაც საკუთარი ემოციების ღიად დასაფიქსირებლად ავტობიოგრაფიულ გვერდით შიშველი ქალის განზრახ დეფორმირებულ ფიგურას იყენებს. მხატვრის დახრილი თავი, დამწუხრებული გამომეტყველება და კიდურების პასიური ფესტიკულაცია მის უარყოფით განწყობას ნათლად წარმოაჩენს. ხოლო გვერდით მდგარი შიშველი დეფორმირებული ნიუს საშუალებით ავტორი ცხოვრების ნაკლოვანებებზე მიგვითითებს. იგი არც ამ შემთხვევაში ღალატობს მკვებთ და აქტიურ ფერებს და ხშირ, შავ კონტურს. კარლო კაჭარავას კომპოზიციებში დახატული წარმოსახვითი თუ რეალური პერსონაჟები, ძალიან ჰგვანან ერიკ ჰექსლის ნამუშევრებში გამოსახულ ფიგურებს, რომელთაც გრძელი პირისაზე, მაღალი შუბლი და ნუშისებრი თვალები აქვთ. როგორც ჩანს, კარლო კაჭარავას, როგორც ხელოვნებათმცოდნეს, ძალიან კარგად ჰქონდა შესწავლილი გერმანელი ექსპრესიონისტების შემოქმედებითი სტილისტიკა, რის გამოც შეუძლებელი გახდა შთაბეჭდილებებით განპირობებულ გავლენას გაქცეოდა. უკვე 90-იანი წლებისათვის კარლო კაჭარავა ნელ-ნელა თავისუფლდება გერმანულ მხატვართა შემოქმედების მძაფრი გავლენისაგან და მის მომდევნო პერიოდის ნამუშევრებში ზოგადი ექსპრესიონისტული მუხტის პარალელურად, პოპ-არტის, ნეოექსპრესიონიზმისა და თანამედროვე ხელოვნების მიმდინარე ტენდენციების გავლენის ქვეშ ექცევა. 1993 წლისათვის მის კომპოზიციებში ვხვდებით ნეოექსპრესიონისტი მხატვრის – პენკისათვის დამახასიათებელ მიზანდასახულად

გაპრიმიტივებულ დეკორატიულ დეტალებს, ასევე გეორგ ბაზელიცის სავიზიტო ბარათად ქცეულ თავდაყირა ფიგურებსა და აბსტრაქტული ექსპრესიონისტი დე კუნინგის უსაგნობისაკენ მიმართულ ქაოსურ ფერთა გამას. საერთო ჯამში, კარლო კაჭარავა საკუთარ ინდივიდუალურ სტილს აყალიბებს.

მსგავს ინდივიდუალურ ნოტამდე მიდის „მეათე სართულის“ მხატვარი ოლეგ ტიმჩენკოც, რომელიც საკუთარ შემოქმედებაში წარმოსახვით სამყაროს აცოცხლებს და უზარმაზარ ნამუშევრებში ჯუჯებისა და რაინდების პორტრეტებს ქმნის. იგი მუშაობს ნეოექსპრესიონისტული მიმდინარეობის გავლენით და შედეგად კომპოზიციებში იყენებს ფუნჯის ექსპრესიულ მონასმებს, აბსტრაქტულ დეტალებსა და განზრახ გაჭუჭყიანებულ ფერთა გამას. ერთმანეთის პარალელურად ქმნის ორ განსხვავებულ სამყაროს: 1986 წელს ხატავს ბოშების, ჯუჯებისა და რაინდების ფერად ფიგურებს, ასევე მონოქრომულ გამაში ქმნის რელიგიური თემატიკის რამოდენიმე ტილოს. კომპოზიციაში „ღვთისმშობელი“, (63) მხატვარი, ყოველგვარ რეალიზმს მოკლებული შესრულების მანერითა და კანონიკური იკონოგრაფიული წესების დაცვის გარეშე, ქმნის წმინდა მარიამისა და ჩვილი იესოს პორტრეტს. ნამუშევარი პრიმიტივისტულია და საკულტო ნახატს მოგვაგონებს, რომლის შესრულების დროს, მხატვარი, ძირითადად შავი ფერის სხვადასხვა ტონალობას მიმართავს. ნეოექსპრესიონისტულ ხასიათში შესრულებული ღვთისმშობლის პრიმიტივისტული პორტრეტი მაყურებელში თავისებურ სულიერი სიმშვიდის განცდას ბადებს, რადგან მიუხედავად არარეალისტური გამოსახულებისა, დედა ღვთისმშობლის სახე მეტყველია. მსგავსი სახასიათო გამომეტყველება აქვს ალბეკდილი ოლეგ ტიმჩენკოს მიერ შესრულებულ ქრისტეს, კომპოზიციაში „შენ გამცემ მე“, (64) სადაც ძე ღვთისა მის 12 მოწაფეს ესაუბრება და იუდას გაცემის შესახებ წინასწარმეტყველებს. ეს კომპოზიცია, ფაქტობრივად, საიდუმლო სერობის სცენის თავისებური ინტერპრეტაციაა, სადაც იესო ქრისტეს საკმაოდ მოზრდილი ფიგურა თორმეტ მოციქულთან ერთად

პირისპირ დგას. მოციქულთა სახეები, გარდა ერთადერთი მოწაფისა, დაუშუშავენელია და მუქ ტონებშია გადაწყვეტილი. სავარაუდოდ, თეთრი ფერის თავდახრილი სახე, რომლის დამწუხრებული ემოცია მარტივად აღსაქმელია, იუდას პორტრეტს უნდა გამოსახავდეს. იესო ქრისტეს გამოსახულება სახით მაყურებლისაკენ იყურება და ორივე ხელის მოძრაობით მოწაფეებისაკენ მიგვითითებს. ნახატის ზედა მარცხენა კიდეზე რუსული ასოებით ნამუშევრის სახელწოდებაა მითითებული. ტილოს შეხედვისთანავე ქრისტეს მზერა იპყრობს ყურადღებას და ჩნდება შთაბეჭდილება, რომ დამთვალიერებელს თავად იესო ქრისტე უყვება იუდას ღალატის ამბავს. ოლეგ ტიშჩენკოს შემოქმედებაში ასევე ვხვდებით აბსტრაქტულ ნამუშევრებსა და პოპ-არტისათვის დამახასიათებელ კომპოზიციებს, თუმცა საბოლოოდ, „მეათე სართულის“ პერიოდში იგი უფრო ნეოექსპრესიონისტულ ფიგურატიულ მხატვრობას ქმნის, 90-იანი წლების დასაწყისიდან კი უამრავ ექსპერიმენტულ არტ-ქმედებებს გვთავაზობს.

„მეათე სართულის“ მხატვრების შემოქმედებაში ფიგურატიული ექსპრესიონიზმის პარალელურად აბსტრაქტულ კომპოზიციებსაც ვხვდებით. ამ კუთხით საინტერესოა მხატვარ გია ლორიას 80-იანი წლების შემოქმედება. მხატვარი საკუთარ ნახატებში აბსტრაქტული და ფიგურატიული ნამუშევრების ჰარმონიულ სინთეზს გვთავაზობს. იგი ერთ სიბრტყეზე თანაბარი რაოდენობით ანაწილებს უსაგნო და ფიგურებით დატვირთულ სიუჟეტს. 1988 წლით თარიღდება მისი კომპოზიცია: „მოგონება ძველ სიკვდილზე“ (65), სადაც მხატვარი თავშეკავებულ პალიტრას იყენებს. ფონი, რომლის ძირითადი ფერი ლურჯია, ამონათებულია თეთრი საღებავის ქაოსური, ფუნჯის სქელი, წრიული და უსწორმასწორო მონასმებით. კოსმოსურ სივრცეში ორი სხვადასხვა ზომის ნარინჯისფერში გადაწყვეტილი, მოცულობითი სამკუთხედი აგამოკიდული, ხოლო კომპოზიციის ქვედა რეგისტრში თეთრი საღებავის მშრალი ფუნჯის წყვეტილი მონასმებით ქალის მწოლიარე ფიგურაა დახატული, რომელიც სათაურიდან

გამომდინარე კომპოზიციის მთავარ პერსონაჟს უნდა წარმოადგენდეს. მისტიკურ სათაურს, გამოსახულ გარემოსა და თავად ქალის ფორმის გამომსახველობას, ნამუშევრის შეხედვისთანავე, უცნაურ სამყაროში გადავყავართ. მსგავსი მისტიკური სამყარო გია ლორიას შემოქმედებაში სხვადასხვა თემის სახით კიდევ უხვად გვხვდება. ამის პარალელურად, ქმნის უსაგნო მხატვრობასაც, სადაც აქცენტი ფერისა და მონასმის ექსპრესიულობაზე კეთდება. იგი ასევე მუშაობს რელიგიურ თემებზე და ახალი გამოსახვის მანერითა და ინტერპრეტაციებით ქმნის საინტერესო იკონოგრაფიულ სცენებს.

რელიგიურ თემატიკაზე მუშაობას აგრძელებს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გიორგი მაღლაკელიძეც, რომლის შემოქმედებაში ქართული საეკლესიო მხატვრობის გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა. მისი რელიგიურ თემაზე შესრულებული ნამუშევრების უმეტესობა მინიატიურის ჟანრშია გადაწყვეტილი. ხოლო ნაწილი ნამუშევრებისა მკაცრი იკონოგრაფიული წესების გათვალისწინებით ხატწერის შემოქმედებას წარმოადგენს. 90-იანი წლების დასაწყისისთვის დათარიღებული კომპოზიცია „ხარება“ (66) ზემოაღნიშნული განსაზღვრებისათვის შესანიშნავი მაგალითია. კომპოზიციაზე „ხარების“ ხატია გამოსახული, სადაც მხატვარი სიძველის ილუზიის მისაღებად ხატის ზედაპირზე საღებავის ფენას განზრახ აზიანებს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მაღლაკელიძე „მეათე სართულის“ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელია, მისი შემოქმედება ჯგუფის წევრებისაგან ძალზედ განსხვავებულია. იგი შორს დგას ევროპიდან შემოსული ინოვაციური ტენდენციების გავლენისაგან, რაც „მეათე სართულის“ ჯგუფის წევრების შემოქმედების განმსაზღვრელიც კი იყო.

მსგავსი შეფასებებისგან შორს დგას ზურაბ სუმბაძის იმდროინდელი შემოქმედება. მამუკა ჯაფარიძის მეგობარი „მეათე სართულის“ ჯგუფის წევრი შემთხვევით გახდა. რადგან მეათე სართულის სახელოსნოს გვერდით ოთახში ფერწერის

ლექციები უტარდებოდა, მეგობრებთან ხშირი სტუმრობა მალე შემოქმედებით ურთიერთობებში გადაიზარდა. ჯგუფთან დაახლოებული მხოლოდ 1989 წლამდე იყო, შემდგომში იგი დასავლეთ ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად. მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, მათ მეგობრული ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ და როგორც კი „მეათე სართულის“ მხატვრებს საშუალება მიეცათ ჩასულიყვნენ ქალაქ ბერლინში, ისინი ზურაბ სუმბაძეს ესტუმრნენ და მას 1987-1989 წლებით დათარიღებული რამოდენიმე მცირე გრაფიკული ნამუშევრებიც დაუტოვეს საჩუქრად, (67, 68, 69, 70) რომელიც დღემდე მხატვრის კოლექციაში ინახება. რაც შეეხება თავად ზურაბ სუმბაძის „მეათე სართულის“ პერიოდის შემოქმედებით სტილს, იგი „მეათე სართულის“ სახელოსნოში შემუშავებული ხატვის მანერითა და ექსპრესიონისტული გავლენით ხასიათდება. ლინოგრაფიურა „ყრუ-მუნჯი“ (71) შესრულებულია 1987 წელს და გამოსახვის თვალსაზრისით გერმანული ექსპრესიონისტი მხატვრების გრაფიურებს მოგვაგონებს. ნამუშევრის პერსონაჟი, რომელიც კომპოზიციის ცენტრშია მოთავსებული შოკის მომგვრელად კივის. მისი დამაბული სხეული, ზემოთ აღმართული სახე, დაჭიმული კისრის ძარღვები და ხელის კიდურების დამაბულობა მაყურებელში, ერთი შეხედვითაც კი, მძიმე ემოციურ განცდას ტოვებს. ემოციურია ასევე კომპოზიციაში თითოეული ქაოსური თუ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით განლაგებული შტრიხების ერთობლიობა, რომელიც საერთო ჯამში, ნახატის ფონს ქმნის. შესრულების თვალსაზრისით, კომპოზიცია გერმანელ ექსპრესიონისტთა მხატვრულ სტილს მოგვაგონებს, თუმცა, თემატიკა და სიუჟეტი, ექსპრესიონიზმის წინამორბედი ხელოვანის ედვარდ მუნკის ნამუშევრის „კივილის“ ახლებური ინტერპრეტაციაა. თუკი მუნკის უცნაური არსება შემზარავად კივის, ზურაბ სუმბაძის პერსონაჟი – ყრუ-მუნჯი მამაკაცია, რომელიც შინაგან ტკივილს სხეულის ენით გადმოგვცემს. გარდა ფიგურატიული ნამუშევრებისა, ზურაბ სუმბაძე საკუთარ ექსპრესიას აბსტრაქტულ ნამუშევრებშიც გადმოსცემს. 1986

წლით თარიღდება მისი კომპოზიცია: „შეჯახება ანუ აპოლონის და დიონისოს პორტრეტი“ (72). ეს არის მითოლოგიური აბსტრაგირებული ისტორია, რომელსაც მხატვარი ემოციური ხაზებისა და მონასმების საშუალებით გვიყვება. თეთრ ფონზე, შავისა და ოქროსფრის დაპირისპირებით, ხელოვანი ახერხებს, ოფორტი უფრო მეტად დინამიკური გახადოს. ზურაბ სუმბაძის მესამე კომპოზიცია ორივე ზემოაღნიშნული ნამუშევრებისაგან მეტად განსხვავებულია. თაბაშირის ფირფიტებზე შესრულებული „ანბანი“ (73) 1987 წლით თარიღდება. რამდენიმე რეგისტრად განლაგებული ანბანის ასოთა წყობა, ერთი შეხედვით, უწყინარი სანახაობაა, თუმცა როდესაც მას მაყურებელი დააკვირდება, აღმოაჩენს, რომ ანბანის თანმიმდევრულობა ბოლომდე დაცული არ არის. კომპოზიციის ზედა მესამე რეგისტრიდან ასოთა წყობა ირევა და მაყურებელს უჩნდება ინტერესი, ჩაიკითხოს იგი ბოლომდე.

ძირითადად აბსტრაქტული ნამუშევრებისაგან შედგება მაია ცეცხლაძის შემოქმედება, რომელიც სასურათო სიბრტყეზე ზღაპრულ სამყაროს აცოცხლებს. იგი, ჯგუფის სხვა წევრების მსგავსად, შერეული ტექნიკით ხატავს და დიდი ფორმატის ტილოზე მუშაობს. მისი ნამუშევრები შესრულებულია ნეოექსპრესიონიზმისა და აბსტრაქციონიზმის გავლენით. რამდენიმე ტილოზე ვასილი კანდინსკისათვის დამახასიათებელ ფერადოვან ლაქებს ვხვდებით. 1988 წლით დათარიღებული კომპოზიცია „მეგობრები“ (74) ამის ნათელი მაგალითია. ნახატი, საერთო ჯამში, კანდინსკის იმ პერიოდის ნამუშევრებს გვაგონებს, როდესაც ექსპრესიონისტი მხატვარი ფიგურატიული ნამუშევრიდან აბსტრაქციისაკენ მიისწრაფვოდა. მაია ცეცხლაძის ამ ტილოზე ორი პერსონაჟის გამოსახულება არარეალისტურია და ნამუშევრის აბსტრაქტული ფონის ფერადოვნებას ერწყმის. კანდინსკის მსგავსი ფერადი ლაქებისა და მკვეთრი შტრიხების გამოყენება კიდევ ბევრ ნამუშევრებში გვხვდება. მაგალითად, 1988 წელს შესრულებულ კომპოზიციაში „ჩიტი ყვავილთან“. ასევე,

ნახევრად აბსტრაქტულ ტილოზე „ჩიტის მოგზაურობა“. ზოგიერთი ნამუშევრის ხატვის დროს მაია ცეცხლაძე საღებავების ფერებს მაქსიმალურად ამცირებს და ნამუშევარში „პატარა გენერლები“ მალევიჩის სუპრემატიზმის თეორიის გავლენით თეთრ ფონზე შავ წრეს ხატავს, სადაც ხელის ერთი მოსმით შესრულებული რამოდენიმე პატარა გენერლის მწყობრი, სასურათო სიბრტყეზე ჯვრის ფორმას ქმნის.

მეათე სართულზე მუშაობის დროს თემურ იაკობაშვილი აქტიურად არის ჩაბმული უზარმაზარი ფორმატის ნამუშევრების შექმნაში. სახატავად ირჩევს ძირითადად ებრაულ-რელიგიურ თემატიკას, რომელთა შესრულების დროს როგორც ფიგურატიულ, ასევე აბსტრაქტულ ფორმებს, მიმართავს. 80-იანი წლების ბოლოს იგი აქცენტს აბსტრაქტული კომპოზიციისაკენ აკეთებს. ნამუშევარი სახელწოდებით: „სინამდვილე“ (75) ტრიპტიხის ტიპის სამი დიდი ტილოს ერთობლიობას წარმოადგენს, სადაც რამოდენიმე მკვეთრი კონტური კვეთს ერთმანეთს. მსგავსი მინიმალისტური დამუშავებით გამოირჩევა ამავე წელს შესრულებული ტილო „მოსე“, (76) რომელიც ბიბლიური პერსონაჟის აბსტრაგირებული სახეა. 90-იანი წლების დასაწყისში მის შემოქმედებაში უსაგნო მხატვრობას ფიგურატიული კომპოზიციები ცვლის, რომელთა ხატვის დროს მხატვარი ებრაელი ხალხის რელიგიურ და კულტურულ წეს-ჩვეულებებზე აკეთებს აქცენტს.

მოგვიანებით, „მეათე სართულის“ ჯგუფის რამდენიმე მხატვარი უკვე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საბუთაფორიო სახელოსნოში გადავიდა. მარჯანიშვილის სახელოსნოში ისინი კოკა რამიშვილთან ერთად იწყებენ მუშაობას. მისი შემოქმედებითი მანერა ძალზედ განსხვავებულია იმ საერთო ჯგუფურ მხატვრულ სტილთან, რომელიც მეათე სართულის სახელოსნოში შემუშავდა. იგი სხვადასხვა საგნების: მეტალის, სარკის, მინის, ტექსტილის საშუალებით ქმნის საინტერესო ინსტალაციებს. მისი 1989 წელს შესრულებული ინსტალაცია სახელწოდებით: „დამღილი ფორტეპიანო“ (77) შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას

შესრულების პერიოდში საბჭოთა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოებასთან. ასევე პოლიტიკურია მისი 1991-92 წელს გადაღებული ფოტოგრაფიული სერია „ომი ჩემი ფანჯრიდან“, (78) სადაც მხატვარი თბილისის ომის 12 დღეს აღბეჭდავს. ფოტო-სერიაში ნაჩვენებია თბილისის ხედი, სადაც ომის ქარცეცხლში გახვეული ქალაქის ქაოსური ყოფა მაინც გრძელდება. მისი თითოეული ინსტალაცია თუ ფოტო და ვიდეო მასალისგან შექმნილი სერიები საბჭოთა ქვეყნის დასასრულს არსებულ ავანგარდულ სულის ამჟღავნებს. ახალ სახელოსნოში ჯგუფის მუშაობა უფრო ინტენსიური გახდა. თითოეული ხელოვანი უკვე ინდივიდუალურ შემოქმედებით გზას დაადგა. რამიშვილთან ერთად ახალგაზრდა ხელოვანები სხვადასხვა ექსპერიმენტში იყვნენ ჩაბმულნი. თუკი მანამდე აქცენტი ფიგურატიულ ნეოექსპრესიონისტულ სტილში ასახულ კომპოზიციებზე კეთდებოდა, მარჯანიშვილის სახელოსნოში მეათე სართულისაგან რადიკალურად განსხვავებული კომპოზიციები იქმნება, რადგან მხატვრებმა შემოქმედებითი შესრულების მანერა და მთლიანად მხატვრული მიმართულება შეცვალეს. სახელოსნოში სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით მრავალი ახალი იდეის განხორციელება მოხერხდა. კეთდებოდა ხისა და რკინის ობიექტები, ინსტალაციები, მონატულები კოსტიუმები, სხვადასხვა კოლაჟი, ალბომები. მათი შემოქმედებით შთაგონების წყაროდ გერმანელი მხატვარისა და პერფორმერის იოზეფ ბოისის თეორიები და შეხედულებები იქცა. მხატვართა ნაწილი ჩაება პერფორმანსების, ინსტალაციების, აქციებისა და ჰეფენინგების დემონსტრირებაში. აქ მომუშავე მხატვრთა ჯგუფი საქართველოში იყო პირველი, რომელიც გასცდა საგალერეო სივრცეს და ყოველგვარი აკრძალვების გარეშე, ხელოვნება ღიად და თამამად წარუდგინა საზოგადოებას. თუკი, ოლეგ ტიმჩენკო 80-იანი წლების ბოლოს, უზარმაზარ ტილოებზე მითოლოგიურ განწყობას ქმნის, 1992 წელს იგი ტოვებს ფერწერას და ნიკო ცეცხლაძესთან ერთად აწყობს სანახაობას სახელად: „მანეკენები“, რომელიც კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში გათამაშდა. ორმა სახემოხატულმა

პერფორმერმა ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში 20 წუთის განმავლობაში მანეკენების როლი მოირგო. მოულოდნელად ორივე მანეკენი გაცოცხლდა, მინა ჩაამსხვრია და გაუჩინარდა. შემთხვევითი გამვლელებისათვის მოწყობილმა პერფორმანსმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია და პრობლემებით გაჯერებული ხალხი დროებით მოწყვიტა არსებულ გარემოებას. მსგავსი შემთხვევითი მაყურებელი შეიძინა 1994 წელს ოლეგ ტიმჩენკოს მოწყობილმა გამოფენა-პერფორმანსმა სახელწოდებით: „თუ მუჰამედი ვერ მიდის მთასთან, მაშინ მთა მიდის მუჰამედთან“. ღეზერტირების ბაზარში მხატვარმა რამოდენიმე უზარმაზარი ტილო მიიტანა და პროდუქტისათვის განკუთვნილ დახლებზე გამოფინა.

„მეათე სართულის“ ჯგუფმა მხოლოდ რამოდენიმე წელი იარსება და საკუთარი კვალი დატოვა ქართული ავანგარდული ხელოვნების ისტორიაში. მათი ხშირი სტუმრები იყვნენ: რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი, ირაკლი ფარჯიანი, გია ბულაძე და სახელოვნებო სივრცის სხვა უამრავი წარმომადგენელი. სწორედ ამ ურთიერთობებმა გაუხსნა გზა ახალგაზრდა მხატვრებს ევროპული საზოგადოებისაკენ. რამოდენიმე წლის განმავლობაში „მეათე სართულის“ მხატვრების მონაწილეობით თბილისში თოთხმეტი გამოფენა მოეწყო. ასევე მათი გამოფენების ჩვენება და თანამშრომლობა ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა. პირველი ოფიციალური წარდგენა საზოგადოების წინაშე 1986 წელს „ქარვასლაში“ გია ბულაძის ხელმძღვანელობით მოხდა, თუმცა მანამდე, „მეათე სართულის“ მხატვრებმა საკუთარი ნამუშევრები ჯერ ლევან ჭოლოშვილის, ხოლო შემდეგ მამუკა ჯაფარიძის სახელოსნოში წარუდგინეს მაყურებელს. 1986 წელს ჯგუფი კვლავ სტუმრობს ქარვასლას. 1987 წელს მხატვრის სახლის კიბის უჯრედში მოეწყო გამოფენა-აქცია, სადაც ოთხივე სართული გადაჭედილი იყო დიდი ზომის მუყაოზე შესრულებული ნამუშევრებით. ამავე წელს გერმანელმა არტისტმა ეკე მასმა, რომელიც სერგო ფარაჯანოვისგან იცნობდა მხატვართა ჯგუფს, ბერლინში მიიწვია რამდენიმე წევრი. ხელოვნებმა გამოფენაზე

ნახატების გარდა ბერლინში შეძენილი ჯვართით რკინის ობიექტები შექმნეს და ინსტალაციის სახით წარუდგინეს მაყურებელს. დროდადრო „მეათე სართულის“ მხატვართა ჯგუფს კიდევ ბევრი საინტერესო ხელოვანი უერთდება. 1987 წლიდან საქართველოში მოსკოვიდან ქართველი მხატვარი გია რიგვავა ჩამოვიდა, პროფესიით ფერმწერმა გია რიგვავამ 1988 წლის ჯგუფურ გამოფენაში, რომელიც თბილისის ერთ-ერთი მიწისქვეშა გადასასვლელში გაიმართა, საზოგადოებას კომპოზიცია: „სველი ჯვარი“ წარუდგინა, რომელიც მეორე სახელწოდებას „მიწის ჯვარსაც“ ატარებდა. გამოფენაზე სანახაობრივი იყო ასევე მთლიანად გადასასვლელის კედლების მოხატვის პროცესიც. 1988 წელს „ქარვასლაში“, მეათე სართულის ჯგუფის ინიციატივით ოცი ქართველი მხატვრის გამოფენა მოეწყო. ამავე წელს „მეათე სართულის“ ჯგუფი კვლავ განახლებული წევრებით ნარვაში ხელოვნების ზეიმზე „თავისუფალ მხატვართა კოლეგიის“ სახელით წარდგა. ნარვაში მონაწილეობას იღებდა ახალი წევრი ლია შველიძეც, სადაც წარმოდგენილი იყო მისი ექსპრომტად შექმნილი ობიექტი, რომელმაც საზოგადოებაში დიდი ყურადღება მიიქცია. ეს იყო ძველი ავტობუსისა და ბინტისაგან შექმნილი ერთობლივი ინსტალაცია, რომელსაც ავტორმა „ავადმყოფი ავტობუსი“ (79) უწოდა. დაზიანებული და გაფუჭებული ავტობუსის როგორც შიდა ინტერიერი, ასევე გარეთა მხარეც თავიდან ბოლომდე დოლბანდით იყო გადახვეული. ლია შველიძე 80-90-იანი წლების განმავლობაში, როგორც ფერწერაში, ასევე კოლაჟსა და ინსტალაციაში მუშაობს. ქმნის უამრავ საინტერესო კოსტიუმს და აწყობს გამოფენა-პერფორმანსებს. მისი ფერწერა მართალია ექსპრესიულობით გამოირჩევა, მაგრამ რთულია მიკუთვნება რომელიმე სტილთან. იგი მუშაობს სხვადასხვა საინტერესო თემაზე და ქმნის კომპოზიციებს, რომელთა შესრულების მანერაში გამოსჭვივის ექსპრესიონისტების წინამორბედი მხატვრის მუნკის ემოციური სამყაროს იდუმალეობა, ხოლო შერჩეული ფერთა პალიტრა ფოვინზმთან აკავშირებს. მის შემოქმედებაში აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმსაც თავისი

ადგილი უკავია. ნარვას ფესტივალზე ღია შევლიძესთან ერთად კიდევ მრავალმა ხელოვანმა წარადგინა საკუთარი არტისტული იდეა. განსაცვიფრებელი იყო საზოგადოებისათვის მამუკა ჯაფარიძის პერფორმანსიც, როდესაც ციხესიმაგრეში ყველასაგან მოულოდნელად მხატვარმა ქონიან ხის პლანშეტზე ათმანეთიანების ერთმანეთის გვერდზე მიწებება დაიწყო. როდესაც ცხიმიან სიბრტყეზე საბჭოთა ფულის კომპოზიცია შედგა, ავტორმა იმავე სიზუსტით ფულის კუპიურები ააძრო ქონიან პლანშეტს და ჯიბეში საწყის ეტაპს დაუბრუნა. ამ პერფორმანსის მოწყობაში მას ნიკო ცეცხლაძე ეხმარებოდა. მსგავსი თანამედროვე ინოვაციური ექსპერიმენტისა და იდეის დაბადება „მეათე სართულზე“ განლაგებული მამუკა ცეცხლაძის სახელოსნოდან დაიწყო, სადაც ახალგაზრდა მხატვრები ევროპული ხელოვნებით იყვნენ შთაგონებულნი. ევროპული ხელოვნებისა და კულტურისადმი სწრაფვა მამუკა ცეცხლაძის შემოქმედებაშიც მკაფიოდ გამოსჭვივის, რომელიც დასაბამს მისი სადიპლომო ნამუშევრის თემატიკიდან იღებს. იგი „მეათე სართულის“ სახელოსნოში მუშაობს სერიაზე: „სულხან საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“. (80) ამ პერიოდში მისი მხატვრული სტილი „მეათე სართულის“ მხატვრებისაგან მეტად განსხვავებულია, იგი ელ გრეკოს, ველასკესისა და რემბრანტის შემოქმედებითი მანერის განახლებულ ტრადიციას გვთავაზობს, თუმცა დიპლომის დასრულების შემდეგ მის კომპოზიციებში ტრანსავანგარდისტული სტილის ელემენტებიც იჭრება. 1988 წელს კიდევ ბევრი საინტერესო გამოფენა მოეწყო. კერძოდ „ქარვასლის“ დარბაზში ქართველ მხატვრებთან ერთად, გამოფენებსა და აქციებს მინსკელი, ბერლინელი და სანკტ-პეტერბურგელი მხატვრები შეუერთდნენ. ამავე წელს ჯგუფი კიოლნში ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში ფენს ნამუშევრებს. ხოლო მომდევნო წლის აპრილში ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმში გახსნილ გამოფენაზე „ქართული ავანგარდი 80-იან წლებში“ მონაწილეობს. 1989 წლის 20 სექტემბერს საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა

გამოფენის პირველ პავილიონში გაიხსნა ქართული ავანგარდის კიდევ ერთი რეტროსპექტიული გამოფენა. სწორედ ეს გამოფენა იყო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარდგენა ქართული ავანგარდისა თანამედროვე ხელოვნების კრიტიკოსთა წინაშე. რეტროსპექტივაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ახალგაზრდა მხატვარის საინტერესო ხედვა, რომელთა შორისაც იყო ქეთი კაპანაძის კონცეპტუალური ნამუშევრები, რომელიც მხატვარ გია რიგვავასთან ერთად, მუდამ ჩაბმული იყო თანამედროვე ხელოვნების ქმედებებში. იგი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირველი ავანგარდისტი ქალი ქართულ სახელოვნებო სივრცეში, რომელიც ძალზედ ხმაურიან და თავისუფალ პერფორმანსებში იყო ჩაბმული. სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში „მეათე სართულის“ მხატვრებმა მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყვეს. ხოლო 1987 წელს ისინი მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოში მუშაობდნენ. უკვე 1991 წლიდან ჯგუფის არსებობა, როგორც ერთიანი სხეული, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ საერთო ჯამში მხატვრებს, რომელთაც ერთი წელი სამხატვრო აკადემიის მეათე სართულის სახელოსნოში გაატარეს, დღემდე „მეათე სართულის“ ჯგუფის მხატვრებად მოიხსენიებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კაჭარავა კ. ქართული ავანგარდის ისტორიიდან, თხზულებანი-ორტომეული, თბილისი, 2006.
- ხატიაშვილი მ. X სართული-მარჯანიშვილი” კონტრკულტურა საქართველოში 1960/80-იან წლებში, თბილისი, 2000.
- ცეცხლაძე ქ. ქართული ავანგარდის ისტორიიდან, ჟურნალი „მთაბეჭდილება“, №4, თბილისი, 2009.